საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის

ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე უარის თქმის შესახებ

მესამე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

მამუკა ნოზაძე – კოლეგიის თავმჯდომარე

ანა კოტეტიშვილი – კოლეგიის წევრი

ბესარიონ ბოხაშვილი - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი – კ. ყ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 02.02.2023

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: №007/23

საჩივარი შეტანილია: ადვოკატ მ. რ.-ს /სიითი №/ მიმართ

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ მ. რ.-ს დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2023 წლის 02 თებერვალს სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა კ. ყ.-მა და მოითხოვა ადვოკატ მ. რ.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. მომჩივანმა 2023 წლის 22 თებერვალს დამატებით შემოიტანა ახსნა-განმარტება საჩივართან დაკავშირებით სადაც დეტალურად აღწერა მისი პრეტენზიები ადვოკატის მ. რ.-ს მიმართ.

1.2 მომჩივანს პრეტენზია აქვს თავისი ყოფილი ადვოკატის, მ. რ.-ს, მიმართ. როგორც საჩივრის ავტორი განმარტავს, მან 2020 წლის 03 იანვარს საქართველოში მცხოვრებ ფერეიდანელ

ქართველებს, ბ. ო.-ის ე. რ.-ის და ო. ა. გ.-ს, აჩუქა ქალაქ თბილისში მდებარე, ორი უძრავი ქონება. დასაჩუქრებულების მხრიდან უმადურობისა და უპატივცემულო დამოკიდებულების გამოვლენის გამო, მომჩივანმა გადაწყვიტა გაეუქმებინა ჩუქების ხელშეკრულებები, რისთვისაც დახმარება სთხოვა მის მეზობელ ადვოკატს, მ. რ.-ს.

1.3 2021 წლის 28 დეკემბერს ადვოკატმა მომჩივანისგან ფარულად, ქონების მითვისების მიზნით, გააფორმა „თაღლითური" შეთანხმება, რომლითაც მას საქმის დასრულების შემდეგ საკუთრებაში უნდა მიეღო გაჩუქებული უძრავი ქონებებიდან ერთ-ერთი. მხარეებმა საადვოკატო მომსახურეობის შესახებ გააფორმეს ხელშეკრულება, ხოლო ადვოკატმა, ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, მოამზადა და შეიტანა სარჩელი თბილისის საქალაქო სასამართლოში. ადვოკატმა გადაიხადა სახელმწიფო ბაჟი, რომელიც მომჩივანს დღეის მდგომარეობით დაბრუნებული აქვს.

1.4 მომჩივანის განმარტებით, მან ადვოკატს სთხოვა სასამართლოსთვის მიემართა უძრავ ქონებებზე ყადაღის დადების მოთხოვნით, ადვოკატმა შეიტანა სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადება, რომელიც მოსამართლემ დააკმაყოფილა, თუმცა მ. რ.-მა, სასამართლოს მიერ, სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ მიღებული განჩინება, არ დაარეგისტრირა საჯარო რეესტრში, რითიც საფრთხე შეუქმნა მომჩივანის ინტერესებს. ასევე, ადვოკატი ფარულად, მისი თანხმობის გარეშე, იწერდა მათ შეხვედრებს, რომელთა გამოყენებითაც ახლა იმუქრება.

1.5 ადვოკატი საქმის წარმოების ილუზიას ქმნიდა და მან მხოლოდ სამჯერ მიმართა სასამართლოს, 1.მ. რ.-მა 2022 წლის 31 იანვარს შეიტანა სარჩელი ჩუქების ხელშეკრულების გაუქმების მოთხოვნით; 2. ადვოკატმა 2022 წლის 28 თებერვალს განცხადებით მიმრთა სასამართლოს საქმის უმოკლეს ვადაში განხილვის მოთხოვნით; და 3.ადვოკატმა 2022 წლის 23 მარტს მიმართა სასამართლოს და მოითხოვა მოპასუხეთათვის სარჩელის პოლიციის საშუალებით ჩაბარება. მომჩივანის განმარტებით, ამ მოქმედებების გარდა ადვოკატს საქმის წარამტებით დასრულებისთვის არაფერი გაუკეთებია. გამომდინარე აქედან, მომჩივანმა 2022 წლის 23 მარტს გააუქმა ადვოკატზე გაცემული მინდობილობა და შეწყვიტა მასთან საადვოკატო მომსახურეობა.

1.6 2022 წლის 02 ივლის, ადვოკატმა, განცხადებით მიმართა საქმის განმხილველ მოსამართლეს, მოითხოვა საქმის წარმოების შეწყვეტა და საჯაროდ მიაყენა შეურაცხყოფა მომჩივანს, ცილი დასწამა ისეთი ქმედებების ჩადენაში რაც არ შეესაბამება სიმართლეს და ლახავს მის პატივსა და ღირსებას.

1.7 ადვოკატი არ მოერიდა მუქარას და მომჩივანს დაჰპირდა, რომ შესაბამისი მტკიცებულებებით აღძრავდა სარჩელს მის წინააღმდეგ. ადვოკატმა თავისი „არაპროფესიული" და „უგნური" ქცევების გამართლების მიზნით თაღლითად გამოიყვანა მომჩივანი და გააჩერა სამოქალაქო საქმის მსვლელობა სასამართლოში, რომელიც დღესაც გადაუწყვეტელია.

1.8 ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მომჩივანს მიაჩნია, რომ ადვოკატმა უხეშად დაარღვია პროფესიული ეთიკის ნორმები და ითხოვს მის დისციპლინერებას.

2. **ადვოკატის პოზიცია:**

2.1 2023 წლის 12 თებერვალს, ადვოკატმა მ. რ.-მა წარმოადგინა წერილობითი ახსნა-განმარტება, ხოლო 2023 წლის 27 თებერვალს მონაწილეობა მიიღო საპროცესო კოლეგიის დისტანციურ სხდომაში. ადვოკატის განმარტებით, კ. ყ.-ს საჩივარი არის უსაფუძვლო, დაუსაბუთებელი და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

2.2 ადვოკატის მიერ წარმოდგენილი ახსნა-განმარტების თანახმად ის კ. ყ.-ს ინტერესებს, იცავდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში, სადაც კლიენტი წარმოადგენდა მოსარჩელეს და ითხოვდა მის მიერ 03.01.2020 წელს დადებული ჩუქების ხელშეკრულებების ბათილობას.

2.3 ადვოკატის განმარტებით, მომჩივანმა მას აუხსნა, რომ რახან ის იყო პენსიონერი და არ შეეძლო მისთვის წინასწარ აენაზღაურებინა გაწეული მომსახურეობის ჰონორარი და დაეფარა სასამართლო ხარჯები, ადვოკატის მხრიდან ბაჟის საკუთარი სახსრებით შეტანისა და საქმის წარმეტებით დასრულების შემთხვევაში, ის საკუთრებაში გადასცემდა ადვოკატს 03.01.2020 წლის ჩუქების ხელშეკრულების ბათილობის შედეგად დაბრუნებულ ერთ-ერთ უძრავ ქონებას.

2.4 ადვოკატის განმარტებით, მხარეებს შორის აღნიშნული შინაარსის შეთანხმების არსებობის ფაქტს ადასტურებს, ვიდეო კამერის ჩანაწერები და 2021 წლის 28 დეკემბერს, იურიდიული მომსახურეობის შესახებ მხარეებს შორის, ნოტარიულად დამოწმებული ხელშეკრულება, რომლითაც ისინი შეთანხმდნენ, რომ კ. ყ. ადვოკატისგან მიიღებდა საადვოკატო მომსახურეობას, ხოლო ადვოკატი, საქმის წარმატებით დასრულებისა და ჩუქების ხელშეკრულებების გაბათილების შემთხვევაში, საკუთრებაში მიიღებდა 03.01.2020 წლის ჩუქების ხელშეკრულებების ბათილობის შედეგად, მოსარჩელეს საკუთრებაში დაბრუნებული უძრავ ქონებიდან ერთ-ერთს.

2.5 ადვოკატის განმარტებით, კ. ყ.-მა გამოთქვა სურვილი, მოსამართლისთვის, რომელიც, 03.01. 2020 წლის ჩუქების ხელშეკრულებების გაუქმების თაობაზე გამოიტანდა გადაწყვეტილებას, გადაეფორმებინა ერთ-ერთი უძრავი ქონება, რაზეც ადვოკატმა განუმარტა, რომ ამგვარი ქმედების განხორცილება დაუშვებელი იყო.

2.6 ადვოკაგის განმარტებით, ის დეტალურ ინფორმაციას აწვდიდა კლიენტს საქმის მსვლელობასთან დაკავშირებით, მან შეადგინა სარჩელი და შეიტანა სასამართლოში, რის შემდეგაც მოპასუხეებისთვის სარჩელის ვერ ჩაბარების გამო გაჭიანურდა პროცესი, ადვოკატმა დეტალურად განუმარტა კ. ყ.-ს სარჩელის, მოპასუხეთათვის ვერ ჩაბარების მიზეზები და მისი სამართლებრივი შედეგები. ადვოკატის განმარტებით, მას შემდეგ, რაც კლიენტმა მისგან მიიღო სრული ინფორმაცია, მაღალი ალბათობის ხარისხით სასურველი შედეგის მიღების შესახებ, მიმართა ნოტარიუს და 2022 წლის 23 ივნისს, გააუქმა ადვოკატზე გაცემული რწმუნებულობა, მიმართა სასამართლოს და მოითხოვა მისთვის დაებრუნებინათ, ადვოკატის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი. ადვოკატის განმარტებით, სწორედ ამ ფაქტის გაგების შემდეგ მიმართა განცხადებით სასამართლოს და მოითხოვა, კ. ყ.-სთვის არ დაებრუნებინათ მის მიერ, საკუთარი სახსრებიდან გადახდილი სახელმწიფო ბაჟის თანხა.

2.7 ადვოკატის განმარტებით, მომჩივანის მიერ წაყენებული პრეტენზია, რომ მან სასამართლოში მიმდინარე საქმე შეაჩერა და რომ ის დღემდე არ არის გადაწყვეტილი, არ შეესაბამება სიმართლეს, რადგან რეალურად აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით, მოსამართლემ 2022 წლის 23 სექტემბერს გამოიტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება (საქმე №), რომლითაც დააკმაყოფილა კ. ყ.-ს სარჩელი და გააუქმა 2020 წლის 03 იანვრის ჩუქების ხელშეკრულებები.

2.8 ადვოკატმა 2023 წლის 27 თებერვალის საპროცესო კოლეგიის დისტანციურ სხდომაზე განმარტა, რომ ის თითოეული მოქალაქისა თუ კლიენტის შეხვედრას იწერს ვიდეოკამერის საშუალებით, რომლის შესახებაც ინფორმაციას ვიზიტორებს ზეპირსიტყვიერად აწვდის და ამასთან, მას კაბინეტში, სადაც ვიდეო ჩაწერა მიმდინარეობს, თვალსაჩინო ადგილად აქვს განთავსებული გამაფრთხილებელი განცხადება, ვიდეო კამერით მათი საუბრის ჩაწერის თაობაზე.

2.9 ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ადვოკატი მიიჩნევს, რომ მის ქმედებები პროფესიული იკვეთიკის შესაბამისია და კ. ყ.-ის საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

3.1 ადვოკატი მ. რ. არის სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ წევრი /სიითი №/ სპეციალიზაცია - საერთო.

3.2 მოქალაქე კ. ყ.-მა ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2023 წლის 02 თებერვალს.

3.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2022 წელს. შესაბამისად, დაცულია ეთიკის კომისიისთვის მომართვის კანონით განსაზღვრული ხანდაზმულობის 5 წლიანი ვადა (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 32.2).

4. შემაჯამებელი დასკვნა

ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებით, ადვოკატ მ. რ.-ს მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 32–ე მუხლითა და ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების 30-ე მუხლის პირველი ნაწილის გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5. სამართლებრივი შეფასება

5.1 საჩივრის ავტორების პრეტენზიით, ადვოკატმა მ. რ.-მა, სასამართლოში, 2022 წლის 02 ივლისს შეტანილი განცხადებით და 2022 წლის 26 ივნისის წერილით, ცილი დასწამა და საჯაროდ მიაყენა შეურაცხყოფა, მისი თანხმობის გარეშე იწერდა მათ შეხვედრებს, გააყალბა მხარეებს შორის დადებული შეთანხმება, საქმის წარმატებით დასრულებისთვის არაფერი გაუკეთებია, მისი განცხადების საფუძველზე სასამართლომ შეაჩერა საქმის წარმოება და საქმე დღესაც დაუსრულებელია.

5.2 საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატ მ. რ.-ს მიერ შემდეგი მუხლების შესაძლო დარღვევის თაობაზე:

კლიენტისა და ადვოკატის ურთიერთობა ეფუძნება ნდობას. ადვოკატისადმი კლიენტის ნდობა ეფუძნება ადვოკატის პირად ღირსებას, პატიოსნებას, შეუვალობას კომპეტენტურობას და დამოუკიდებლობას ადვოკატმა არ უნდა იმოქმედოს ისე, რომ ეჭვქვეშ დააყენოს მისდამი კლიენტის ნდობა. აღნიშნული თვისებები ადვოკატის პროფესიული ვალდებულებაა (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მე-3 მუხლი)

ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა ვალდებულება

ადვოკატი ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი მე-5მუხლის „ა“ წვეპუნქტი და მე- 3 მუხლის „დ“ ქვეპუნქტი)

5.3 კლიენტი, ადვოკატს, როგორც სპეციალური ცოდნის მქონე პირს, დახმარებას სთხოვს იმგვარი საკითხებში, სადაც მას თავად არ გააჩნია მათი მოგვარებისთვის შესაბამისი ცოდნა და გამოცდილება. ადვოკატი კლიენტის „დაუცველი“ ინტერესების გარანტორად გვევლინება და მისი ნებისა და ინტერესების შესაბამისად, მისთვის სასურველი შედეგის მისაღწევად, იყენებს თავის პროფესიულ ცოდნასა და გამოცდილებას. საადვოკატო მომსახურეობის გაწევისას, ის რითიც ადვოკატმა უპირატესად უნდა იხელმძღვანელოს არის კლიენტის ინტერესები და მათი თანხვედრა კანონთან. სხვა ყველა დანარჩენი, იქნება ეს თავად ადვოკატის პირადი თუ მესამე პირების ინტერესები, მეორეხარისხოვანია და მათ კონკურენცია ვერ უნდა გაუწიონ კლიენტის ინტერესებს.

5.4 სწორედ კლიენტის „დაუცველი“ ინტერესების არსებობა განაპირობებს კლიენტ-ადვოკატის ურთიერთობაში ნდობის არსებობის აუცილებლობას, რომელიც თავის მხრივ ადვოკატის კომპეტენტურობას, პატიოსნებას, დამოუკიდებლობასა და მის ღირსებას ემყარება. ადვოკატმა კეთილსინდისიერი ქმედებებით, მასზე დაკისრებული პოზიტიური ვალდებულებიდან გამომდინარე, უნდა უზრუნველყოს კლიენტთან ნდობაზე დამყარებული ურთიერთობის ჩამოყალიბება და საადვოკატო ურთიერთობის შეწყვეტის შემთხვევაშიც, შეინარჩუნოს პროფესიული ღირსება, რაც პროფესიის საერთო კორპორაციული ინტერესებიდან მომდინარეობს.

5.5 ადვოკატს პროფესიული ეთიკა, თავად პროფესიის ფუნქციიდან გამომდინარე, უპირატესად აკისრებს ვალდებულებას, თავისი კლიენტის მიმართ იყოს ემპათიურად განმსჭვალული, კეთილსინდისიერი მიზნებითა და მისი ინტერესების მიმართ გულისხმიერებით განწყობილი. ადვოკატი, მხოლოდ პროცესუალური მიზნის მიღწევით ვერ უზრუნველყოფს კვალიფიციურ დაცვას თუ მან კლიენტს სათანადო გულისხმიერებით არ გაუწია მომსახურეობა, ხოლო კლიენტის მიმართ არაჯანსაღი, შეურაცხმყოფელი დამოკიდებულება პირდაპირ დაარღვევს მის, როგორც ადვოკატის ეთიკურ ვალდებულებებს და შელახავს არა მხოლოდ მის, არამედ მთლიანი პროფესიის რეპუტაციას. ადვოკატმა უნდა გაითვალისწინოს, რომ კლიენტი მას, საკუთარი

„დაუცველი“ ინტერესების დასაცავად, სთხოვს დახმარებას და ის უნდა იყოს მისი კანონიერი უფლებების დამცველი, შესაბამისად მან პირველ რიგში, კლიენტთან ურთიერთობისას, თავად უნდა სცეს პატივი კანონსა და ეთიკის ნორმებს და მხოლოდ ამ გზით, დადებითი, კეთილსინდისიერი და გულისხმიერი დამოკიდებულებით დაამყაროს კლიენტთან ურთიერთობა.

5.6 ამის საპირისპიროდ ადვოკატს, თავის ყოფილ კლიენტთან ურთიერთობისას, რომლის ინტერესებიც გარკვეულ შემთხვევაში ადვოკატის პირად ინტერესებთან შეიძლება მოვიდეს წინააღმდეგობაში, არ ევალება იმავე სტანდარტით, უპირობოდ, დადებითი და კეთილგანწყობილი ურთიერთობის ჩამოყალიბებისა თუ შენარჩუნების ვალდებულება. თუმცა, ამის პარალელურად, ადვოკატი ვალდებულია შეინარჩუნოს პრფესიული ღირსება და ყოფილ კლიენტთან ურთიერთობისას, იყოს გაწონასწორებული, დაიცვას ობიექტური კრიტიკის ფარგლები, ჯეროვნად და მწყობრი ქმედებებით უზრუნველყოს საკუთარი ინტერესების დაცვა და იმოქმედოს კანონისა და პროფესიული ეთიკის მოთხოვნათა ფარგლებში.

5.7 კომისია აქვე განმარტავს, რომ მის კომპეტენციას არ მეუკთვნება დაადგინოს, ადვოკატის ქმედებით შეილახა თუ არა პირის პატივი და ღირსება, პიროვნული უფლებების ხელყოფის ფაქტის დადგენა და მისი რესტიტუციის საშუალებების განსაზღვრა, სამოქალაქო სამართლებრივი საკითხია და განეკუთნება საერთო სასამართლოების კომპეტენციას. ეთიკის კომისია, ადვოკატის ქმედებების პროფესიულ ეთიკასთან შესაბამისობას ამოწმებს, რა დროსაც ხელმძღვანელობს ადვოკატის ქმედებებით და არ იჭრება სასამართლოს კომპეტენციაში. ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე მნიშვნელოვანია, რომ ადვოკატ მ. რ.-ს ქმედებები, იყო ეს აქტიურ თუ ყოფილ კლიენტის სტატუსის მქონე პირთან განხორციელებული, შეფასდეს მათი პროფესიულ ეთიკასთან შესაბამისობის კუთხით და ადვოკატის გამოხატვის თავისუფლების უფლების გათვალისწინებით, რათა დისციპლინური წარმოების პროცესში დაცული იყოს ადვოკატის როგორც პროფესიული, ასევე სამოქალაქო უფლებები და თავისუფლებები.

5.8 კოლეგია გაეცნო, თითოეულ პრობლემურ საკითხს და არსებითად შეაფასა ადვოკატის მიერ მომჩივანისთვის გაგზავნილი შეტყობინება ასევე სასამართლოს სახელზე დაწერილი განცხადება, შეისწავლა ადვოკატის მიერ შეხვედრების ჩაწერის ფორმა და წესი და აღებული ვალდებულებების შესაბამისად მის მიერ კლიენტის ინტერესების უზრუნველსაყოფად განხორციელებული ქმედებები. კოლეგიამ ასევე ყურადრება გაამახვილა მის უფლებამოსილებაზე, ადვოკატის არამართლზომიერი ქმედება დაადგინოს მხარეებს შორის დადებული შეთანხმების ნამდვილობის შეფასების გზით.

5.9 საპროცესო კოლეგიამ შეაფასა ადვოკატის მიერ გაკეთებული შემდეგი განცხადებები, რომელებიც შესაძლებელია შეურაცხმყოფელი ყოფილიყო მომჩივანისთვის. კერძოდ ადვოკატი მიუთითებს: „გთხოვთ 2022 წლის 27 და 29 ივნის, კ. ყ.-ის განცხადებაზე იქნა მიღებული განჩინება სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ და არ იქნეს მიღებული განჩინება მისთვის სახელმწიფო ბაჟის დაბრუნების შესახებ, რადგანაც მოხვეჭა და მითვისება ნდობის მოპოვების შედეგად

მოიცავს თაღლითობას და მას თუ დაუბრუნდება სახელმწიფო ბაჟი, ჩემი სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების შემდეგ შეუძლებელი იქნება სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება.“; „როგორც ჩემთვის ცნობილი გახდა ეს არ არის პირველი ფაქტი, თუ როგორ იხვეჭს და ითვისებს კ. ყ. მის მიმართ ნდობით აღჭურვილი პირებისგან თანხებს...“

5.10 კომისია განმარტავს, რომ თაღლითობა და მითვისება არის საკუთრების უფლების წინააღმდეგ მიმართული ეკონომიკური დანაშაულები, რომელებიც დასჯადია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე და 182-ე მუხლებით. თავად სიტყვა „თაღლითი“ „მიმთვისებელი“ საზოგადოებაში არ ატარებს პოზიტიურ კონტექსტს და მიემართება პიროვნების არაკეთილსინდისიერი და არამართლზომიერი მახასიათებლების ხაზგასმისკენ. შესაბამისად, ყოფილი კლიენტის მიმართ, ადვოკატის მსგავსი ფორმით გაკეთებული განცხადებები არ არის სასიამოვნო მოსასამენი, თუმცა აქვე გასათვალისწინებელია, მხარეებს შორის წარმოშობილი სადავო გარემოება და მათ შორის კლიენტ-ადვოკატის ურთიერთობის შეწყვეტის ფაქტი.

5.11 კოლეგია ვერ შეაფასებს, სახელმწიფო ბაჟის კუთვნილების საკითხს, თუმცა ფაქტია, რომ ადვოკატს აქვს პრეტენზია ამსთან დაკავშირებით და მიუთითებს, რომ სახელმწიფო ბაჟი მისი გადახდილია და ითხოვს მის უკან დაბრუნებას, ამის საპირისპიროდ მომჩივანი განმარტავს, რომ ადვოკატს უკვე გადაუხადა სახლმწიფო ბაჟის საფასური და სასამართლომ მას უნდა დაუბრუნოს თანხა. ამ ფატის გათვალისწინებით ნათელია, რომ მხარეებს შორის არსებობს დავა, ადვოკატის მიერ გაკეთებული განცხადების დროს, კლიენტს გაუქმებული ჰქონდა მინდობილობა და შეწყვეტილი იყო კლიენტ-ადვოკატი ურთიერთობა. ამ მოცემულობით ადვოკატ, მ. რ.-ს, სავალდებულო წესით არ მოეთხოვებოდა, ყოფილი კლიენტის მიმართ დადებითი, კეთილგანწყობით განმსჭვალული ურთიერთობის ჩამოყალიბება, ის, საადვოკატო ურთიერთობის დასრულების შემდეგ, მოქმედებდა საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე და არა როგორც ადვოკატი, რაც გამორიცხავს მის ქმედებაზე ეთიკის კოდექსის ნორმების გავრცელებას. შესაბამისად კოლეგია განმარტავს რომ მიუხედავად ადვოკატის არასასიამოვნო და არა დადებითი ქმედებისა, არსებული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, ადვოკატ მ. რ.-ს მიერ, გაკეთებული განცხადებების ნაწილში, ვერ გავრცელდება ეთიკის კოდექსის მოქმედება.

5.12 რაც შეეხება მომჩივანის პრეტენზიას, ადვოკატის მიერ მათი შეხვედრების ჩაწერასთან დაკავშირებით, კოლეგია განმარტავს, რომ მისი კომპეტენცია არ არის შეაფასოს ადვოკატის ქმედებები პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად, კოლეგიამ ადვოკატ მ. რ.-ს მიერ საუბრის ჩაწერის ფორმა და წესი შეაფასა პროფესიული ეთიკის ნორმებთან შესაბამისობის კუთხით და მიიჩნია, რომ ადვოკატის მიერ შეხვედრების ჩაწერის ფორმა აკმაყოფილებს იმ მინიმალურ სტანდარტს, რომელიც ადვოკატისგან მოითხოვს კლიენტისთვის კეთილსინდისიერად და გულისხმიერების დაცვით მომსახურეობის გაწევას.

5.13 ადვოკატის კაბინეტის მთავარ შესასვლელ კარებზე, სადაც მ. რ. კლიენტებს კონსულტაციისთვის იღებს, თვალსაჩინოდ არის განთავსებული გამაფრთხილებელი ნიშანი, ვიდეო კონტროლის თაობაზე, ამასთან თავად ვიდეო-აუდიო ჩამწერი მოწყობილობა კაბინეტში თვალსაჩინო ადგილას, არაფარულად, ადვოკატის გვერდით არის განთავსებული. ადვოკატის განმარტებით ის

კლიენტებს აფრთხილებს შეხვედრების ჩაწერის თაობაზე. თავად ადვოკატის აღნიშნული ზეპირსიტყვიერი განცხადება, არ ქმნის ფაქტის უტყუარად მიჩნევისთვის საკამრის საფუძველს, თუმცა სხვა ფაქტორების გათვალისწინებით, როგორიცაა გამაფრთხილებელი ნიშანი, ჩამწერი მოწყობილობის ადგილიმდებარეობა და ჩაწერის მიმდიანრეობის აღქმის ობიექტური შესაძლებლობა, კოლეგიას არ უქმნის საკმარის საფუძვლებს, ადვოკატ მ. რ.-ს მიერ შეხვედრების მსგავსი ფორმით ჩაწერის ფაქტი მიიჩნიოს, ადვოკატის მიერ კეთილსინდისიერებისა და გულისხმიერების დარღვევად. აქვე, კოლეგია, თავად ადვოკატის ინტერესებიდან გამომდინარე, ადვოკატს აძლევს რეკომენდაციას, შეხვედრების ჩაწერისა და მიღებული ინფორმაციის დამუშავების ფორმა და წესი, პერსონალური ინფორმაციის დაცვის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად, ნათლად და გამჭირვალედ განსაზღვროს და მოაწესრიგოს, რათა მომავალში თავიდან აირიდოს შესაძლო გაუგებრობა და არ გამოიწვიოს კლიენტის უნდობლობა.

5.14 რაც შეეხება საჩივრის ავტორის პრეტენზიას, რომლის მიხედვითაც ადვოკატმა საქმის წარმატებით დასრულებისთვის არაფერი გააკეთა და მისი განცხადების საფუძველზე სასამართლომ შეაჩერა საქმის წარმოება და საქმე დღესაც დაუსრულებელია.

5.15 კოლეგია დადგენილად მიიჩნევს, ფაქტს, რომ სამოქალაქო საქმეზე №---, სადაც კ. ყ.-მა, მ. რ.-ს წარმომადგენლობით, სარჩელი შეიტანა ბ. ო.-ის, ე. რ.-ის და ო. ა. გ.-ის წინააღმდეგ, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ გამოიტანა, დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რომლითაც, დააკმაყოფილა მოსაჩელეს მოთხოვნა, გაუქმდა 2020 წლის 03 იანვრის ჩუქებისს ხელშეკრულებები და კ. ყ.-მა სასარჩელო წარმოების გზით მიაღწია თავის მიზანს. ადვოკატ მ. რ.-ს მოქმედება, რომლითაც მან სასამართლოს მიმართა კ. ყ.-ს სარჩელი დაეტოვებინა განუხილველად, ცალკე აღებული, საპროცესო კოლეგიისთვის არ არის მისაღები და მოვლენათა სხვა შედეგობრივი განვითარების შემთხვევაში, შესაძლებელია ადვოკატის ამგვარი ქცევა შეფასდეს დისციპლინურ გადაცდომად, თუმცა კონკრეტული საქმის ფატქობრივი გარემოებები, არ ქმნიან ადვოკატ მ. რ.-ს აღნიშნული ქცევის არაეთიკურად მიჩნევისთვის საკმარის საფუძველს, რადგან უპირველესად გასათვალისწინებელია, შედეგი, რომელიც მიმდინარე საქმეზე დადგა და გადაწყვეტილებით მომჩივანის ინტერესები დაკმაყოფილდა, ამასთან ყურადსაღებია ადვოკატსა და კლიენტს შორის არსებული სადავო გარემოების არსებობა და მათი პირადი ინტერესების დაპირისპირება მაშინ, როდესაც მათ აღარ აკავშირებდათ კლიენტ-ადვოკატის ურთიერთობა. ადვოკატმა მ. რ.-მა აღნიშნული განცხადება მას შემდეგ შეიტანა, რაც კ. ყ.-მა გააუქმა მინდობილობა და გაწყვიტა ურთიერთობა, მათ შორის წარმოიშვა პირადი დავა რაც ადვოკატს პირადი ინტერესებით მოქმედების უფლებას ანიჭებდა, ხოლო საქმეზე ფაქტობრივი შედეგი, კლიენტის სასარგებლოდ დადგა. ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, კოლეგია მიიჩნევს, რომ მიუხედავად ადვოკატის არასასიამოვნო ქცევისა, ის კონკრეტულ შემთხვევაში, მხარეთა შორის არსებული ურთიერთობიდან და საქმეზე დამდგარი შედეგიდან გამომდინარე, არ არღვევს ეთიკის ნორმებს.

5.16 რაც შეეხება კლიენტის პრეტენზიას ადვოკატის მიერ კლიენტ-ადვოკატის შეთანხმების გაყალბების თაობაზე, კოლეგია განმარტავს, რომ მის კომპეტენციის ფარგლებს სცდება

დაადგინოს შეთანხმების ნამდვილობისა თუ არანამდვილობის საკითხი. საქმეში წარმოდგენილია მხარეებს შორის დადებული, ნოტარიულად დამოწმებული, ხელშეკრულება. ამასთან, მომჩივანის პრეტენზია, გარდა თავისი სიტყვიერი ახსნა განმარტებისა არ დასტურდება, რაიმე იმგვარი, კანონის შესაბამისად გაცემული დოკუმენტით, რომელიც უტყუარად მიუთითებდა ადვოკატის არამართლზომიერ ქცევაზე. შესაბამისად კომისია ვერ გამოიკვლევს მომჩივანის აღნიშნულ პრეტენზიას და ვერ შეამოწმებს მხარეებს შორის დადებული შეთანხმების ნამდვილობის საკითხს, რითიც აღნიშნულ ნაწილში გამოირიცხავს ადვოკატ მ. რ.-ს არამართლზომიერი ქმედების ჩადენის ფაქტს.

5.17 ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საპროცესო კოლეგია მიიჩნევს, რომ არ დგინდება ადვოკატ მ. რ.-ს მიერ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „დ“ ქვეპუნქტებისა და მე-5 მუხლის „ა“ქვეპუნქტების და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-3 მუხლისა და მე-8 მუხლის მე-5 ნაწილის დარღვევა და ადვოკატ მ. რ.-ს მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა.

5.18 საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა ადვოკატთა შესახებ საქართველოს 32–ე, 33–ე მუხლებით; ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების 30.2, 40.1 მუხლებით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №007/23 ადვოკატ მ. რ.-ს მიმართ /სიითი №/ არ აღიძრას დისციპლინური დევნა.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /მამუკა ნოზაძე/

კოლეგიის წევრი: /ანა კოტეტიშვილი/

კოლეგიის წევრი: /ბესარიონ ბოხაშვილი/